სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 20 0001131591

27/11/2020

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის
დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების (უკანასკნელი ცვლილებები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილება), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ და „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №1127365 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2020 წლის 28 ნოემბრიდან სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) დასაქმებული ყველა პირი გადაიყვანილ იქნას მუშაობის დისტანციურ რეჟიმში, გარდა იმ პირებისა, რომელთა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია მისი პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ საქმიანობა განხორციელდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების

თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ლევან ტატიშვილს;
4. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 28 ნოემბრიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით;
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე